ნათია ფირცხალავა

შესავლისათვის

დღეს ისტორია სკოლებში არაპოპულარული საგანია. იგი რუტინულ, უინტერესო საგნად გადაიქცა, სადაც მასწავლებლის მთავარი ორიენტირი - მასალის მოსწრება, მოსწავლის მთავარი მიზანი კი ამ ფაქტების დასწავლა-დამახსოვრება-დაზეპირებაა. ამ პრობლემას, ცხადია, ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი ისტორიისადმი სწორედ ესგ სახელმძღვანელოები, კატი და ეროვნული სასწავლო ცენტრის ჯაჭვური დამოკიდებულებაა. ეს დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ავლენს ჩვენი საზოგადოების ხარვეზს, რომ ისტორია ფაქტოლოგიაა, რომ ჯერ კიდევ ვერ გამოვედით საბჭოთა მენტალობიდან, რომ ისევ არსებობენ „ექსპერტები“, რომლებიც თვლიან, რომ „მოსწავლემ ეს უნდა იცოდეს“!

სტატუს ქვო ასეთია: ისტორიის სწავლებაზე გვაქვს იგივე აზრი, რაც საბჭოთა ეპოქაში გვქონდა - ის არ არის საგანი, რომელიც უნდა გაიაზრო. ის იქცა რუტინულ, უინტერესო საგნად, რომელიც მოსწავლემ უნდა დაიზეპიროს და დაისწავლოს. პედაგოგისთვის კი მთავარია ფაქტოლოგიის აღწერა, მასალის მოსწრება და პროგრამაში ჩატევა. შესაბამისად, ჯილდოვდება მოსწავლე, ვისაც განსაკუთრებული ზეპირობის უნარი გააჩნია, რომელმაც ზედმიწევნით იცის ყველა თარიღი, რომელსაც კარგი მეხსიერება აქვს და ერთნაირი ინტერესით და დინამიკით შეუძლია ყოველი ახალი მასალის „დაფარვა“, თუმცა არ აინტერესებს სიღრმე, ეპოქალური გააზრება, კრიტიკული ანალიზი (რადგან არ იცის და არც არავინ ასწავლის ამას); იჩაგრება მოსწავლე, რომელიც წერს ესეებს, არგუმენტირებულად მსჯელობს (არგუმენტირებულში იგგულისხმება მსჯელობათა სისტემას), ავლებს პარალელებს, აკეთებს დასკვნებს, გვთავაზობს სხვადასხვა (თუნდაც

არაპოპულარულ, მაგრამ დასაბუთებულ) პერსპექტივებს, შეუძლია ანალიტიკური მსჯელობა, ბევრს კითხულობს (ცხადია, ასეთი მოსწავლეებიც არიან, მერე რა, რომ ძალიან ცოტანი?!) ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, იჩაგრება მოაზროვნე მოსწავლე. (საბოლოო ჯამში ასეთი მოსწავლე, ცხადია, არ დაიჩაგრება, თუმცა ის უთუოდ დაიჩაგრება ეროვნულ გამოცდებსა და კატზე).

იქნებ უპრატესობა აზროვნებას მივანიჭოთ. იქნებ ისტორიის საგანი მომხიბვლელი გავხადოთ. იქნებ სლოგანი - მთავარია რაოდენობა და არა ხარისხი ბოლოსდაბოლოს დავთმოთ. იქნებ ვაქციოთ ისტორიის საგანი სკოლებში საინტერესო და მიმზიდველ საგნად, სადაც მოსწავლე ფაქტებიდან აზროვნებაზე გადაინაცვლებს. დაბოლოს, იქნებ იარსებოს ერთმა პოლიტიკამ და არა რამდენიმე „დამკვეთმა“ პროგრამამ.

პროექტი კომპიუტერების ოთახში

გთავაზობთ გაკვეთილ-პროექტს, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გრძელვადიან პროექტად აქციოს. გაკვეთილი მხოლოდ მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის არის გათვალისწინებული. ამ გაკვეთილში მთავარია, იკვლევდნენ მოსწავლეები. ისინი მკვლევრებად უნდა ვაქციოთ (თუნდაც მცირე ხნით მივცეთ საშუალება გადაუხვიონ ეროვნული გამოცდების პროგრამას, “კატებს”, „ეროვნულ ფაქტოლოგიას“ და მივაახლოვოთ საკითხის სიღრმისეულ წვდომას).

პროქტი: ”სტალინი და განათლება საბჭოთა კავშირში”

პროექტი უნდა ჩატარდეს კომპიუტერების ოთახში, სადაც არის ინტერნეტი და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. (თუ კომპიუტერები საკმარისზე ნაკლებია, დასვით მოსწავლეები წყვილ-წყვილად)

(მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას ჯერ თქვენ შეისწავლოთ ის მასალა, რასაც შემდგომ მოსწავლეებს მისცემთ დავალებად).

პროექტი აგებულია ბლუმის ტაქსონომიის მხოლოდ მაღალი დონისთვის.

წარმოიდგინეთ, რომ ამ პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოში უნდა შექმნათ 1 გაკვეთილი. (ყველა მოსწავლეს ან ყველა წყვილს ეძლევა თითო თემა; თემები თქვენი სურვილისამებრ შეამცირეთ ან, პირიქით, განავრცეთ).

დავალების თემებია: (მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წყვილებს მისცეს დიფერენცირებული დავალებები):

- სტალინური არქიტექტურა
- ბავშვები სსრკ-ში
- ჩაცმის სტილი სსრკ-ში
- განათლება
- ლიტერატურა
- მაღაზიები სსრკ-ში, პროდუქტების შეფუთვის დიზაინი სსრკ-ში
- კომუნალური სახლები, ინტერნატები/ბავშვთა სახლები
- სკულპტურები/ ქანდაკებები სტალინურ ეპოქაში
- სპორტი
- 1936 წლის სტალინის კონსტიტუცია

გავიმეორებ, რომ თემები შეგიძლიათ დაამატოთ თქვენი ან მოსწავლეების გემოვნებით, სურვილით თუ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

(ინკლუზიური მოსწავლეების დავალება შეიძლება იყოს ყველაზე მარტივი - მხოლოდ პლაკატების მოძიება და თქვენი დახმარებით მისი თემებად დაყოფა);

პროექტის შინაარსობრივი კრიტერიუმები:

- მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ მინიმუმ 1-2 ვიზუალური წყარო;
- მოიძიონ ინფორმაციული ტექსტი და დაურთონ წყაროებს (ნარატივი).

(თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ სტალინის ეპოქის მასალის მოძიება, მიეცით მათ საშუალება ზოგადად საბჭოთა პერიოდზე მოიძიონ მასალა). მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი საიტები.

წყაროების ჩასმის შემდეგ ვორდის ფაილში მოსწავლეებმა წყაროებს ორი დასკვნაუნდა დაურთონ. მიეცით მათ მითითება, რომ -

- პირველი დანასკვი უნდა ასახავდეს საბჭოთა სინამდვილეს;
- მეორე დასკვნა კი უნდა იყოს მოსწავლის შეფასება, კრიტიკული განხილვა და პოზიცია.

(გაკვეთილების შექმნის შემდეგ, თუ ეს შესაძლებელია, კარგი იქნება წაუკითხოთ მოსწავლეებს რაიმე ამონარიდი საბჭოთა ისტორიის სკოლის სახელმძღვანელოდან, სადაც კარგად ჩანს სუბიექტურობის და პროპაგანდის მაგალითი);

მაშასადამე, კრიტერიუმებია:

ვიზუალური წყაროები	პლაკატი, კარიკატურა/ფოტო/
ნარატივი	თხრობითი ტექსტი, რომელიც ასახავს იგივე კონტექსტს, შინაარს, რაც ვიზუალურ წყაროებშია მოცემული
დანასკვი	წარმოდგენილი საბჭოთა ხედვით
დასკვნა	ამ დასკვნაში მოსწავლემ უნდა დააფიქსიროს საკუთარი კრიტიკული ხედვა; გააკეთოს ანალიზი; შეაფასოს და, თუ შესაძლებელია,

	პარალელი გაავლოს დღევანდელობასთან.
შემაჯამებელი დასკვნა	ამ დასკვნაში მოსწავლეებმა თავი უნდა მოუყარონ საკუთარ და ჯგუფების კვლევას, გამოიტანონ საკუთარი დასკვნა და დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება. სასურველია ჯერ მოაწყოთ პროექტის შემაჯამებელი დისკუსია, შემდეგ კი დააწერინოთ.

სკოლები/განათლება

პიონერები (სკოლის მოსწავლე 5-10 კლასელები პიონერები იყვნენ; 0-4 კლასების მოსწავლეები - ოქტომბრელები; სკოლის ბოლო დამამთავრებელ ეტაპზე ხდებოდი კომკავშირელი. კომკავშირელი იყავი ასევე სტუდენტობის დროს. მხოლოდ ამის მერე შეიძლებოდა პარტიულ მუშაკად დაწინაურება - „კარიერული წინსვლა“).

მოსწავლეებს შეუძლიათ წყაროებად გამოიყენონ მათი მშობლების სკოლისდროინდელი ფოტოები (პიონერი, ოქტომბრელი, კომკავშირელი)
http://www.komarovi199.edu.ge/test/?menuid=57&menuid1=57&lang=1
(კომაროვის სკოლა)

სახელმძღვანელოები

სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაშიც. ნიკო ბერძენიშვილიც იხსნებს, რომ სტალინი შეხვდა მას და სიმონ ჯანაშიას და მათ მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებში შესწორებები შეიტანა.

“დიდ პატივს სცემდა, როგორც ჩანს, ქართველ ისტორიკოსებს. იმიტომ რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი დაიწერა... მან ხომ

თავისთან მიიწვია ბერძენიშვილი და ჯანაშია. მახსოვს, ჯანაშიას ქალიშვილის, რუსიკო ჯანაშიას, სიტყვები, როგორ მოხაზა საქართველოს პროვინციები სტალინმა და შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში ის ტერიტორიები, რომელიც თურქეთში იყო და დღესაც თურქეთშია... ამას მოჰყვა ჩერჩილის წერილი - "სტალინი იარაღს აჟღარუნებს". მერაბ კოკოჩაშვილი

(რადიო თავისუფლება)

კარგი იქნება მოსწავლეებს სთხოვოთ დაწერონ ერთი გაკვეთილი (საკმარისია თეზისურადაც). მთავარია აირჩიონ თემა. (რჩევისათვის: მიეცით მათ გარკვეული მიმართულება - რა ისწავლებოდა? რა არ ისწავლებოდა? რისი სწავლება იყო „მოდაში"? რატომ არ იყო მისაღები და პოპულარული დავით მერვე? გიორგი მეშვიდე? ....)

სპორტი

1939 წლის 18 ივლისს, მოსკოვში, მავზოლეუმის წინ, პირველად აღინიშნა „ფიზკულტურელის დღე". ეს დიდი მასშტაბის ღონისძიება იყო, მას 35 000 სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული მოქალაქე ესწრებოდა. სულ საბჭოთა კავშირში 6 მილიონმა ახალგაზრდამ ჩააბარა ნორმატივები, რამაც რამდენიმე წელიწადში ახალი ჯანსაღი თაობის ფორმირებას შეუწყო ხელი. ფიზკულტურელის დღეს ყველა რესპუბლიკიდან ესწრებოდნენ საუკეთესო სპორტსმენები. გამონაკლისი არც საქართველო იყო.

სტალინის დროს სპორტის სახეობების, განსაკუთრებით ფეხბურთის განვითარებამ საერთაშორისო დონეს მიაღწია. მას მხარს უბამდა უშიშროების შეფი, ლავრენტი ბერია, რომელსაც შემდგომში პირველი „საბჭოთა ტიფოზი" შეარქვეს. საქმე იქამდეც მისულა, რომ ქვეყნის პირველი პირები სახელმწიფო

თათბირებს საფეხბურთო მატჩების განხილვით იწყებდნენ. განსაკუთრებულ წარმატებას, 1945 წელს დიდ ბრიტანეთში ტურნეს დროს მოსკოვის დინამოელებმა მიაღწიეს. ამ თამაშებმა ფეხბურთის სამშობლოში დიდი ინტერესი გამოიწვია. „დინამომ“ „არსენალი“ და „კარდიფი“ გაანადგურა, „ჩელსისთან“ და „რეინჯერთან“ ფრე ითამაშა. სტალინის პირადი მითითებით, სპორტსმენებისთვის სპეციალური დიეტა შემოიღეს. მათ ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. საერთოდ, ჯანდაცვასთან დაკავშირებით, ბელადს თავისი აზრი ჰქონდა. მისი აზრით, მხოლოდ მედიცინა უძლურია სპორტის მასობრივი განვითარების გარეშე.

ლიტერატურა/პოეზია/პროზა

მწერალთა გაერთიანებები

1928 წელს ქართველი მწერლები აიძულეს გაერთიანებულიყვნენ „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“. 1932 წლის ცკ-ის დადგენილებით („ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“), გაუქმდა ფედერაცია, მასში შემავალი მწერალთა ყველა გაერთიანებითურთ და დაარსდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზირებული ორგანო იყო და პარტიული ნომენკლატურის მიერ იმართებოდა. მისი პირველი თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, მრავალთა მსგავსად, კრებებზე გამოდიოდა და ხალხის მტრებს გმობდა, ხოლო შემდეგ თვითონვე იქცა სტალინური რეპრესიების მსხვერპლად.

„ამხ. სტალინზე ხელის აღმართვა, როგორც მათ განზრახვაში ჰქონიათ, არის ხელის აღმართვა მილიონიან მშრომელთა თავისუფლებაზე, ხელის აღმართვა მანათობელ მზეზე, რომელიც მხოლოდ ჩვენს ბედნიერ ეპოქას ეღირსა. მხოლოდ უბადრუკი ქვეწარმავალი, მხოლოდ ადამიანისა და კაცობრიობის მტერი გაბედავს ფიქრს, რომ შეიძლება ამ დროშის ჩამოღება, მხოლოდ წუნკალი არსება გაბედავს იფიქროს, რომ შეიძლება ამ ზღვა სიყვარულის დაშრობა, ამ დიდებული მზის დაბნელება! სტალინი მილიონებისგულშია“.

გიორგი ლეონიძე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე:

„რად მინდა სამშობლო; ჩემთვის ერთია ერეკლე მეფე და აღა-მაჰმად-ხანი“. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ერთ-ერთ თავის ლექსში, რომლის სათაურია

„საბარგო ავტომობილი", ქება-დიდებას ასხამს და უმღერის მანქანას, რომელსაც 20-იან წლებში „რევოლუციისათვის ღალატის" ბრალდებით დასახვრეტად უდანაშაულო ხალხი გადაჰყავდა, წინასწარგამზადებულ თხრილში ჰყრიდა და მარხავდა ცოცხალ-მკვდარ დაჭრილებს:

„საბარგო ავტომობილი"

„... ახლაც გმირი ხარ, ტყვიით დატენილს
არ შეგიცვლია ნაბიჯი გზიდან,
რევოლუციის მოღალატენი
შენ დასახვრეტად გადაგიზიდავს."

კალე **ფედოსიშვილის, პარტიული პოეტის (კარის პოეტის) სტრიქონები:**
„მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას,
თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას..."

ვალერიან გაფრინდაშვილი – "ოცნება ბელადზე":

"ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის,
ეს არის ფიქრი ყოველ პოეტის -
ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის
და შთაგონება მთელ საბჭოეთის"

შალვა აფხაიძე – "სტალინ"

"აზვირთებული დიდი ვნებანი
ეპოქის სვეტო, შენსკენ ილტვიან,
სტალინ, – გრგვინავენ წყალნი და ქვანი,
სტალინზე მთებიც ზღაპრებს იტყვიან".

ნესტორ მანიძე – "სტალინის მზე"

"აჭარელი წყალსაც არ სვამს,
რომ სტალინი არ ახსენოს".

ალიო მაშაშვილი – "სამშობლო ბელადისა"

"დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,
ღელვა მზის შუქით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ხალხის გენიად დაბადებული"

ილო მოსაშვილი – "ბელადს"

"სხვა – სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,
მიწაზე დადის – არა აქვს მიწა,
ჩვენ კი ბედნიერ სამშობლოს პატრონს,
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად:
ზეცაში – მფრინავს, ბრძოლაში – მხედარს,
ვაჟკაცს – ზღვასავით გაშლილ ყანაში,
და ბავშვი, როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქოს სიზმარში ხედავს,
შენებრ მშობლიურ იავნანაში.
და როცა დილა, მთების ფიწალზე
ღრუბლის ბულულებს ლურჯად შეღებავს,
იგრძნობს სულდგმული დედამიწაზე
შენი გულის და ხელის შეხებას.
დგება ბალახი, აცახცახდება,
მოვარდნილ სითბოს წყალივით დალევს;
ტკბილი ოცნება ცხადად ახდება,
და შენი სახე ცაზე დახვდება
ქვეყნის პირველად გახელილ თვალებს"

კონსტანტინე ჭიჭინაძე – "სტალინისადმი" (კავკასიონს ადარებს სტალინს, რომელიც "შეჰყუდებია ცას ტიტანივით")

ის კი პიტალო კლდეს აკალოებს,
ამოზიდულან ძარღვები კისრის,
და ზეაწყვეტილ რკინის პალოებს
ზღვების გადაღმა შხუილით ისვრის"

გალაკტიონი - პროტაგონისტი, რომელსაც სახელი არ აქვს, მაგრამ სტალინი უნდა იგულისხმებოდეს.

უნდობელია მისი გენია,
არც შებრალება, არც შეცოდება,
ჯერ დედამიწას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.
ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.
(უთარიღო)

გაშლილო ველო... ტყვიების კოხის...
რაა წამება თქვენთან იობის,
აქ საიდუმლო პატარა ქოხის
საიდუმლოა კაცობრიობის...
ვინ? ამნაირი გამოძახილი
არაფერს ქვეყნად ჯერ არ ჰქონია,
ამას ნამდვილი არ აქვს სახელი,
მისი სახელი ლეგიონია.

სტალინის ეპითეტები: „ვოჟდ“-ი, ანუ დიდი ბელადი, წითელი მეფე, „ხალხთა მამა“, „ადამიანის ბედნიერების მებაღე“.

არქიტექტურა

1933 წლის 14 ოქტომბერს "პრავდაში" გამოქვეყნდა ცეკას დადგენილება "არქიტექტურული განათლების" შესახებ, რომელშიც ცეკას პოლიტბიურო საბჭოთა კავშირის "არქიტექტურის აკადემიის" შექმნას და "სოციალისტური ქალაქების" დაპროექტებას მოითხოვდა. დასახელებულია რამდენიმე ქალაქი: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, თბილისი და სვერდლოვსკი. 1934 წლის ოქტომბერში კი პოლიტბიური აქვეყნებს ბრძანებულებას საბჭოთა კავშირის

არქიტექტორთა ყრილობის ჩატარების შესახებ. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ყრილობა ჩატარდება 1935 წელს. რესპუბლიკებს არქიტექტორების გაერთიანება და შემოქმედებითი ჯგუფების გაუქმება უბრძანეს. სტალინური "რეფორმა" დაიწყო იქ, სადაც კონსტრუქტივიზმის გავლენა ნაკლებად იგრძნობოდა... დაიწყო საქართველოთი. 1934 წლის 15 თებერვალს თბილისში საქართველოს არქიტექტორთა კავშირი შექმნეს. აირჩიეს არქიტექტორთა საკავშირო ყრილობის დელეგატები. არქიტექტორთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, ცნობილი საბჭოთა ხუროთმოძღვარი ანდრეი ბუროვი წერდა:"პარტია მოითხოვს ჩვენგან, სასწრაფოდ მივაღწიოთ საყოველთაო ჰარმონიას. ეს ამოცანა, პირველ რიგში, არქიტექტორებმა უნდა გადავჭრათ."

მუსიკა

ჯაზი

კლასიკური მუსიკა: პროკოფიევი/შოსტაკოვიჩი/ხაჩატურიანი/რახმანინოვი.

ფილმები:

გიორგი სააკაძე “ფილმი იყო დაწყებული მაშინ, როცა შინა მტრებთან ბრძოლის ეტაპი უკვე განვლილი იყო. ყველა დაჭერილი იყო, ვისი დაჭერაც შეიძლებოდა... და ეს უკვე იწყებოდა მაშინ, როცა ძალიან აქტიური მზადება იყო ომისთვის... რაც შეეხება წინა მტრებს... ეს იმ ეტაპზე მოთავებული იყო და საჭირო იყო მთელი ხალხის დარაზმვა სამშობლოს დასაცავად. ყველა რესპუბლიკაში კეთდებოდა ასეთი ფილმები, მაგრამ “გიორგი სააკაძე” მას განსაკუთრებით უყვარდა”, - მერაბ კოკოჩაშვილი.

საკუთარი სახელების წარმოშობა

ახლენკო - ახალგაზრდული ლენინური კომკავშირი;
ლენსტალბერი/ნინელი -ლენინი შებრუნებულად;
დაზმირი - „და ზდრავსტვუეტ მირ“;
მარლენი - მარქსი-ლენინი;
მალესი - მარქსი-ენგელსი;
ჯუსტანი - ჯუღაშვილი სტალინი;
ვილენი - ვლადიმირ ილიას ძე ლენინი;
დენტრაურა - ტრაურის დღე;
მელორი - **მ**არქსი/**ე**ნგელსი/**ლ**ენინი/**ო**ქტომბრის **რ**ევოლუცია;
დინსო - დიდი სამამულო ომი...

ჩამონათვალი გააგრძელეთ.....
მოსწავლეებს სთხოვეთ მოიკითხონ ბებია-ბაბუებთან, მშობლებთან მსგავსი სახელები და იმსჯელონ, რას უნდა ნიშნავდეს ეს. შეაფასონ, გამართლებულად მიაჩნიათ თუ არა ეს ფაქტი? დაასაბუთონ არგუმენტირებულად.